



ბრძანება

N 575
25/11/2020

„იურიდიული პირისათვის საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსის მინიჭების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 23 დეკემბრის N1781 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) მიერ 2019 წლის 23 დეკემბერს მიღებულ იქნა ბრძანება N1781 „იურიდიული პირისათვის საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსის მინიჭების შესახებ“. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში მითითებულ იურიდიულ პირებს ამავე ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესითა და დადგენილ ვადაში ენიჭებათ საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (შემდგომ - სდპ) სტატუსი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 15 იანვრის N14 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება და სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცხრილი დაკორექტირდა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის N584 დადგენილებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების“ (შემდგომში - დადგენილება) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სამსახურმა მოიძია და დაამუშავა ინფორმაცია დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ პირებთან მიმართებით და გარკვევა, რომ სდპ-ის სტატუსი დამატებით უნდა განესაზღვროთ შემდეგ სუბიექტებს:

1. შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი (ს/კ 245445200)
2. სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი) (ს/კ 404496121)
3. შპს წინანდლის მამულები (ს/კ 204557372)

სამსახურის მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად ასევე დადგინდა, რომ შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი (ს/კ:203836625) აღარ აკმაყოფილებს დადგენილებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. კერძოდ, ის აღარ წარმოადგენს პირველი ან მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი-ს აღარ უნდა მიენიჭოს სდპ-ის სტატუსი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს“. ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.“

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის N584 დადგენილებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების“ საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „იურიდიული პირისათვის საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსის მინიჭების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის 23 დეკემბრის N1781 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

N	ს/კ	საწარმოს დასახელება
1	404428071	შპს გარდაბნის თბოსადგური
2	211324468	სს გეს საქრუსენერგო
3	208144541	სს თამ თბილავიამშენი
4	239403392	სს საჩხერეგაზი
5	204524568	შპს საქართველოს მელიორაცია
6	204862372	შპს საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი
7	251716371	შპს ენგურჰესი

8	205170036	სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი
9	204995176	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
10	204991786	შპს ენერგოტრანსი
11	245556679	შპს ბათუმის წყალი
12	412670097	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
13	205140257	შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია
14	204522436	შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზა
15	206237491	სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
16	404482537	შპს სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა
17	202886788	შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია
18	206103722	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია
19	202886010	სს საქართველოს რკინიგზა
20	215096367	შპს მთის კურორტების განვითარების კომპანია
21	245383678	შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური
22	245426882	შპს ბათუმის აეროპორტი
23	208144051	შპს საქაერონავიგაცია
24	404389693	შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
25	203836233	შპს საქართველოს ფოსტა
26	203829250	შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი
27	404404550	სს საპარტნიორო ფონდი
28	405007200	შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია
29	245626443	შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
30	236035517	შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი

31	404945164	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
32	202172139	სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი
33	206267494	შპს თბილსერვის ჯგუფი
34	245548153	შპს სანდასუფთავება
35	404942470	შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
36	204532899	შპს სერვისი - 7
37	204878542	შპს სპორტმშენსერვისი
38	405158804	შპს ბლექ სი არენა ჯორჯია
39	404553666	შპს ეკოსერვის ჯგუფი
40	206348736	შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია
41	231165583	სს აკურა
42	251716362	შპს ვარდნილჰესების კასკადი
43	202462101	შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები
44	402020022	შპს ჯიარ ტრანზიტი
45	405001466	სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრი
46	404408547	სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი
47	245445200	შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი
48	404496121	სს აერო-სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)
49	204557372	შპს წინანდლის მამულები

2. პირველ პუნქტში მითითებული პირების მიმართ სდპ-ის სტატუსი ამოქმედდეს და მათზე კანონმდებლობით სდპ-ებისთვის დადგენილი მოთხოვნები გავრცელდეს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდზე და შემდგომ პერიოდებზე, ხოლო თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს – იმ საანგარიშგებო პერიოდზე, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისთვის სრულდება

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. #16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; #6).

იური დოლიძე



სამსახურის უფროსი

ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

